

## ბრძანების პროექტი

### თბილისი

№ 658/03

13 ოქტომბერი, 2015წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული  
გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 07 ოქტომბრის №1103 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას გაიანას რესპუბლიკის მოქალაქე ანესია მინაკში პერსაუდ.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2015 წლის 30 ნოემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს დ. მასხულიას, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს ლ. მასხუიას, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუსაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი